აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი

სისტემური ანალიზი

აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციისა და მდგომარეობის შესახებ

ოკუპირებული აფხაზეთის „სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა 2022-2025 წლებში შემუშავებულია ეგრედწოდებული აფხაზეთის რესპუბლიკისა და რუსეთის ფედერაციას შორის თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების მიზნით 2008 წლის 17 სექტემბერს დადებული ხელშეკრულებით. აღნიშნული შეთანხმება მოიცავს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიას დე ფაქტო აფხაზეთის რესპუბლიკაში 2025 წლამდე.

პროგრამა განსაზღვრავს 2022-2025 წლებში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითად ამოცანებს და მიმართულებებს. პროგრამაში მოცემულია დღეს არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზი და მიზნობრივი მაჩვენებლების (ინდიკატორების) შესრულების შედეგები და შეფასებები.

სოციალურ-ეკონომიკური პროგრამის განვითარების უმთავრეს მიმართულებად მიჩნეულია ეკონომიკის სტაბილიზაცია, მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა.

პროგრამის განხორციელებისა და დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს ოკუპირებული აფხაზეთის ეგრედწოდებული რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ასიგნებები, მათ შორის ძირითადად რუსეთის ფედერაციიდან გადმოსაცემი ფინანსური დახმარება, ასევე კერძო პირებიდან ინვესტიციების მობილიზება.

ოკუპირებული აფხაზეთის ეკონომიკის განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული გარე ფაქტორებზე, პირველ რიგში, დამოკიდებულია რუსეთის ფედერაციიდან მისაღებ ფინანსურ დახმარებაზე.

დე ფაქტო ხელისუფლების სტატისტიკის სამმართველოს მონაცემებზე დაყრდნობით მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობამ 2020 წელს შეადგინა ლარის ვალუტაზე გადაყვანით 1256.0 მლნ. ლარის ოდენობა, რაც 9%-ით უფრო დაბალია

ვიდრე ეს მაჩნევებელი 2019 წლის შესაბამი პერიოდთან მიმართებაში იყო დაფიქსირებული.

მთლიანი შიდა პროდუქტის სტრუქტურის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს ვაჭრობის სფერო, რომლის ხვედრითი წილი მთლიანი შიდა პროდუქტის - 41,1%-ია, მშენებლობაზე მოდის 12.5%, ტურიზმზე - 37,9%, მრეწველობაზე - 8,3%, სოფლის მეურნეობაზე - 3,0% და კავშირგაბმულობაზე - 3,85%-ი.

ძირითადი კვების პროდუქტი, რომელსაც აწარმოებს და გააქვს ექსპორტზე რუსეთის ფედერაციაში არის ღვინო. უმნიშვნელო მოცულობით წარმოდგენილია თაფლის, ლუდის, აჯიკის, მინერალური წყლებისა და ლიმონათის წარმოება.

ერთიანი რეესტრით დარეგისტრირებულია საკუთრების სხვადასხვა ფორმით საწარმოები და ორგანიზაციები, სულ 8686 ერთეულით, მათ შორის 7173 საწარმო და ორგანიზაცია სამეურნეო მიმართულებებისა.

2020 წელს საშუალო ფულადმა შემოსავალმა ერთ მცხოვრებ სულზე შეადგინა - 453,1 ლარი, საშუალო ხელფასმა 1 მომუშავე პერსონაზე შეადგინა 463,4 ლარი.

დარეგისტრირებული პენსიონერების ოდენობა - 2020 წელს უტოლდებოდა - 47,4 ათ. ადამიანს.

საშუალოდ თვიური საცხოვრებელი მინიმუმი ერთ მოსახლეზე ფიქსირდება - 285,0 ლარის ოდენობით.

ე.წ სახელმწიფო სტატისტიკის სამმართველოზე დაყრდნობით დღეის მდგომარეობით ოკუპირებულ აფხაზეთში ცხოვრობს 244 926 ადამიანი, მათ შორის ქალაქის მოსახლეობა შეადგენს - 123 015 ადამიანს, სოფლის მოსახლეობა კი - 121 911 ადამიანს, მათ შორის შრომისუნარიანი მოსახლეობის რიცხოვნობა - 145 070 ადამიანს შეადგენს, ზოგადად აფხაზეთის მოსახლეობის ცხოვრების დონე ხასიათდება უკიდურესად დაბალი შემოსავლებით. მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა როგორც ფიქსირდება ოკუპირებულ აფხაზეთში განპირობებულია სხვადასხვა ფაქტორებით. კერძოდ:

- დაწესებული საერთაშორისო სანქციების გამო, მოგეხსენებათ აფხაზეთის ე.ე. რესპუბლიკა არ არის აღიარებული საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი;
- აფხაზეთის რესპუბლიკაში წარმოებული და რეალიზაციისთვის გამზადებული პროდუქციისთვის შიდა ბაზრის შეზღუდული შესაძლებლობები;
- საბურავი საშუალებების აშკარა დეფიციტი;

- ბანკის საკრედიტო სისტემისა და დაფინანსების დაბალი დონის არსებობა, რაც წარმოადგენს ბიზნესის განვითარებისა და მთლიანად საფინანსო სექტორის გაჯანსაღების ხელისშემშლელ პირობას;
- მაღალი და საშუალო კვალიფიკაციის მქონე მუშების დეფიციტი;
- ელექტრომომარაგების სისტემის მოუწესრიგებლობა და დაბალი წვდომა;
- წყალმომარაგებისა და კანალიზაციის მოუწესრიგებლობა და ხშირ შემთხვევაში ამ ძველი სისტემის სრულად მწყობრიდან გამოსვლა;
- ცენტრალიზებული, ეფექტიანი მიწისა და უძრავი ქონების საკადასტრო აღრიცხვის უქონლობა;
- ხარისხიანი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის არ არსებობა;
- ტვირთების სატრანპორტო გადაზიდვების შეზრუდვა სატრანსპორტო დერეფნების უქონლობის გამო საზღვარგარეთ, გარდა რუსეთის ფედერაციისა;
- ეკონომიკის ასეთი სავალალო მდგომარეობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გახლავთ ის, რომ ოკუპირებულ აფხაზეთში წარმოებული პროდუქცია არ არის კონკურენტუნარიანი საერთაშორისო ბაზარზე გარდა რუსეთის ფედერაციისა;
- უმუშევრობის მაღალი დონე;
- ჩრდილოვანი ეკონომიკა და კორუფცია - წარმოადგენს ერთ-ერთ შემაფერხებელ ფაქტორს აფხაზეთის ეკონომიკის განვითარების საქმეში, სხვა მიზეზებთან ერთად 2020 წელს ე.წ. აფხაზეთის რესპუბლიკის ბიუჯეტის შემოსულობების ოდენობამ შეადგინა - 371.1 მლნ. ლარი რაც დაგეგმილ - 401.7 მლნ ლარის მიმართ 92.6%-იან შესრულებას შეადგენს. ფაქტობრივად ბიუჯეტის შემოსულობების შესრულება ვერ იქნა უზრუნველყოფილი - 29.6 მლნ. ლარით. ამის მიზეზად სახელდება კორონავირუსით გამოწვეული პანდემია. მათ შორის საკუთარი შემოსავლების გეგმა შესრულდა - 86.9%-ით.

მთლიანი მობილიზებული შემოსავლების ჭრილში დამატებული ღირებულების გადასახადებზე მოდის - 15.4%-ი, ფიზიკური პირების საშემოსავლო გადასახადზე - 9.2%-ი, საწარმოებისა და ორგანიზაციების მოგების გადასახადზე - 8%-ი, სხვადასხვა სახის გადასახადებზე და მოსაკრებელზე - 10.6%-ი.

რუსეთის ფედერაციის მხრიდან გაწეული ფინანსური დახმარების ხვედრითი წილი მთლიანი შემოსულობების მიმართ შეადგენს - 48.4%-ს.

ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის მოცულობამ შეადგინა - 374.0 მლნ. ლარი, რაც დაგეგმილი პარამეტრის 83.7%-ია.

- მათ შორს შრომის ანაზღაურებისთვის დაიხარჯა 29.5 მლნ. ლარი;
- ე.წ. ეროვნული ეკონომიკის განვითარებისთვის დაიხარჯა - 67.0 მლნ. ლარი აქედან ხელფასების გასაცემად - 3.4 მლნ. ლარი;

- კომუნალური მეურნეობის მოთხოვნებისათვის დაიხარჯა - 18.3 მლნ. ლარი;
- განათლების სფეროში გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 76.7 მლნ. ლარი, მათ შორის - 57.1 მლნ. ლარი სისტემის თანამშრომლებზე იქნა გაცემული ხელფასის სახით, რაც ამ სფეროში გახარჯული მთლიანი თანხის 74.4%-ს შეადგენს;
- ჯანმრთელობის დაცვაზე მიმართული იყო - 45.7 მლნ. ლარი, მათ შორის ამ დარგში მომუშავე პერსონალზე ხელფასების სახით დაიხარჯა - 25.0 მლნ. ლარი, რაც მთლიანად ამ სფეროში დახარჯული თანხის - 54.8%-ს შეადგენს;
- კულტურისა და ხელოვნების სფეროში გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა - 17.4 მლნ. ლარი, მათ შორის მომუშავე პერსონალებზე გასაცემი ხელფასების სახით დაიხარჯა 10.4 მლნ ლარი, რაც მთლიანი თანხის 60.2%-ს შეადგენს;
- სპორტის მიმართულებით გაწეულმა ხარჯებმა შეადგია 5.5 მლნ ლარი, მათ შორის ხელფასების გასაცემად გამოყენებულ იქნა - 2.3 მლნ. ლარი, რაც 41.0%-ს უტოლდება;
- სოციალური პოლიტიკის გასახორციელებლად დაიხარჯა - 13.9 მლნ. ლარი, მათ შორის ხელფასების გასაცემად - 1.5 მლნ. ლარი, რაც - 10.8%-ს შეადგენს.

მოგაწოდებთ ინფორმაციას დარგობრივი ეკონომიკის ჭრილში თუ რა სიტუაციაა შექმნილი და რა მაჩვენებლები ფიქსირდება 2020 წელს.

- მრეწველობაში რეალიზებული პროდუქციის მაჩვენებელმა შეადგინა - 240.3 მლნ. ლარი, ეს მაჩვენებელი 11.6%-ით ნაკლებია, ვიდრე იყო დაფიქსირებული - 2019 წელს, ძირითადად ამის მიზეზი გახლავთ ალკოჰოლური პროდუქციის ექსპორტის შემცირება.

ე.წ. აფხაზეთის რესპუბლიკაში მოიპოვება სხვადასხვა სახის წიაღისეულები, როგორიც არის ქვანახშირი, ტორფი, ინერტული მასალები, გრანიტი, დოლომიტი და სხვა სახის სამშენებლო მასალები. აღსანიშნავია, რომ ჩამოთვლილი მასალების მოპოვება მიმდინარეობს ძალიან მცირე ოდენობით, ზოგიერთი მიმართულება საერთოდ მიტოვებულია, ამისი მიზეზი გახლავთ წიაღისეულების მოპოვებისთვის სათანადო ტექნიკისა და ხელსაწყოების არ არსებობა, საჭიროებს საზღვარგარეთიდან შემენას, რასაც ვერ ახერხებენ. ასევე სამრეწველო პროცესებისა და სიმძლავრეების განვითარებისთვის განიცდიან ელექტროენერგიის დეფიციტს, პროდუქციის სარეალიზაციოდ გატანა საერთაშორისო ბაზარზე ვერ ხერხდება და ფინანსური რესურსების აშკარა უკმარისობასაც განიცდიან.

აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება მნიშვნელოვან ფაქტორად თვლის რუსეთის ფედერაციასთან ხელშეკრულების დადებას ვაჭრობის შესახებ ბაჟის გადახდის გარეშე. ამ მხრივ ყველაზე პერსპექტიულ მიმართულებად პროგრამის რეალიზაციის თვალსაზრისით მიჩნეულია:

- გადამუშავებული მრეწველობის განვითარება;
- მსუბუქი მრეწველობის განვითარება;
- სამშენებლო მასალების წარმოება;
- მინერალური წყლების ჩამოსხმა და ალკოჰოლური სასმელების წარმოება;
- სუვენირების წარმოება;
- ხე-ტყის მასალებისა და ავეჯის დამზადება.

სოფლის მეურნეობა:

ამ მიმართულებით 2020 წელს მოყვანილი და დამზადებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის ღირებულებამ შეადგინა 505.3 მლნ. ლარი, აღნიშნული მაჩვენებელი წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად შემცირებულია. სოფლის მეურნეობის განვითარებაზე უარყოფითი გავლენა იქონია სოფლის მეურნეობისთვის საჭირო ტექნიკის დეფიციტმა, მზა პროდუქციის საერთაშორისო ბაზრებზე სარეალიზაციოდ გატანის პრობლემამ, საკუთარი საბრუნავი საშუალებების დეფიციტმა სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებლების მხრიდან, კვალიფიციური სპეციალისტების დეფიციტმა, რომლებსაც არ აქვთ უნარი იმუშაონ თანამედროვე ტექონოლოგიით გამოშვებულ ტექნიკაზე.

ტურიზმი:

საბჭოთა კავშირის დროს აფხაზეთში ფუნქციონირებდა 44ათას საწოლიანი ადგილი (სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები, ტურისტული ბაზები). 2021 წლის პერიოდში ე.წ. აფხაზეთის რესპუბლიკაში არსებული - 426 ობიექტში განთავსებული იყო 25.0ათ. საწოლიანი ადგილი. როგორც ჩანს, საბჭოთა პერიოდთან შედარებით საგრძნობლად შემცირებულია ეს მაჩვენებელი, არადა აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება პერსპექტივაში ვარაუდობს, ტურიზმის დარგის განვითარებით მთლიანი საბიუჯეტო შემოსავლების - 50%-ი ტურიზმიდან მიღებული საკუთარი შემოსავლების მობილიზებას. თუ როგორ მოხდება ეს დრო გვიჩვენებს.

2020 წელს სანატორიუმებში და დასასვენებელ სახლებში მკურნალობას გადიოდა - 78 612 ადამიანი.

ტურისტული სფერო ხასიათდება დაბალი მატერიალური და ტექნიკური ბაზით, თანამედროვე ინფრასტრუქტურის არ არსებობით, მომსახურეობის დაბალი დონით და ფასებსა და მომსახურეობას შორის შეუსაბამობით.

საგარეო ვაჭრობა:

საგარეო ვაჭრობის ბრუნვა 2020 წელს დაფიქსირდა 1062.2 მლნ. ლარის მოცულობით, რაც 2.2%-ით მეტია, ვიდრე 2019 წლის მაჩვენებელი.

ექსპორტმა - 273.6 მლნ. ლარი შეადგინა, რაც 2019 წლის მაჩვენებელზე მეტია - 15.3%-ით.

იმპორტმა შეადგინა - 788.5 მლნ. ლარი, რაც 2019 წლის მაჩვენებელზე ნაკლებია - 1.7%-ით.

საგარეო ვაჭრობის ბრუნვამ რუსეთის ფედერაციასთან 2020 წელს შეადგინა - 788.3 მლნ. ლარი, რაც 2.7%-ით ნაკლებია ვიდრე ეს იყო 2019 წელს, მათ შორის ექსპორტი - 226.4 მლნ. ლარი, იმპორტი - 561.8 მლნ. ლარი.

რუსეთის ფედერაციის წილმა აფხაზეთის რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის ბრუნვაში შეადგინა - 74.4%-ი.

სავაჭრო ბალანსის სალდო რუსეთის ფედერაციასა და ე.წ. აფხაზეთის რესპუბლიკას შორის 2020 წელს ფიქსირდება დადებითი და უტოლდება - 102.0 მლნ. აშშ დოლარს. 2019 წელთან შედარებით ეს მაჩვენებელი შემცირდა - 27.4%-ით, ანუ - 38.5 მლნ. დოლარით. შემცირების მიზეზად სახელდება დაწესებული შეზღუდვები კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებით.

საინვესტიციო გარემო:

ე.წ. აფხაზეთის რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარების უმთავრეს როლს თამაშობს რუსეთის ფედერაციის მიერ გაწეული ფინანსური დახმარება.

საინვეტიციო კლიმატი აფხაზეთის რესპუბლიკაში არახელსაყრელია, იგი გართულებულია სხვადასხვა პრობლემების გამო:

- ინვესტიციების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმების არ არსებობის გამო;
- სათანადო მაღალი კვალიფიკაციის მქონე კადრების დეფიციტის გამო;
- შიდა ბაზრის უმნიშვნელო მოცულობის არსებობით;
- აფხაზეთის,როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტად არ აღიარების პოლიტიკის გამო;
- მოსახლეობის ცხოვრების დაბალი დონით;
- არახელსაყრელი დემოგრაფიული სიტუაციით და დაბალი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებით.

სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის დადებით ფაქტორებად აღინიშნება:

- აფხაზეთის გეოგრაფიული ადგილმდებარეობა;
- ტურიზმის განვითარების დიდი პოტენციალი და სოფლის მეურნეობის პროდუქციის ტრანზიტის შესაძლებლობები;
- მნიშვნელოვანი ჰიდროენერგეტიკული რესურსები;
- დაბალი გადასახადები, საბაჟო გადასახადის გარეშე გასვლა რუსეთის ფედერაციის ბაზარზე;
- შიდა ბაზარზე სუსტი კონკურენცია.

საერთო სოციალური ეკონომიკური პროგრამის ფორმირება, ერთიანი სივრცის შექმნა რუსეთის ფედერაციისა და ე.წ. აფხაზეთის რესპუბლიკასთან დამტკიცებულია 2020 წლის 12 ნოემბერს და მოიცავს - 2021-2023 წლებს, რომელიც ითვალისწინებს შემუშავებას და ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის დამტკიცება ინვესტიციების შესახებ გარკვეული პოზიტიური სიგნალი იქნება დეფაქტო აფხაზეთისთვის თუ ამას რეალური შესრულება ეღირსება. ეს მაშინ, როდესაც რუსეთი ასეთი გამოწვევების წინაშე დგას უკრაინაში განხორციელებული აგრესიის შედეგად.

პატივცემულო დეპუტატებო, ეს იყო ჩვენი კომიტეტის მიერ მოძიებული ინფორმაცია და გაკეთებული ანალიზის შედეგი ე.წ. აფხაზეთის რესპუბლიკაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ, რაც თქვენთვის უნდა მომეტანა და მომეხსენებინა.